

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №13

ქ. მარტვილი

6 სექტემბერი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე დამთავრდა 15:00სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, ბორის მიქავა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, ზაურ ჯახუა, ნოე დანელია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, სტატისტიკისა და მდგრადი განვითარების სამსახურის უფროსი სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და სთხოვა საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი: მომხრე 19. წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით. /„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 სექტემბრის განკარგულება № 34 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ; /მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ბალდა-გაჭედის (სკურდი) წყალმომარაგების სისტემის ობიექტების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მარტვილის კეთილმოწყობის ცენტრი“-სთვის, მეთვალყურეობისა და მოვლა პატრონობის მიზნით, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
5. სხვადასხვა.

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: ელდარ თოდუამ დასვა კითხვა თუ რომელ ობიექტებზე ხდებოდა კორექტირება, რაზეც ალექსანდრე ხურცილავამ საკრებულოს წევრებს წარუდგინა, მარტვილის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შეთანხმების კორექტირებული ცხრილი და კრების ოქმი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19. წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ საკითხი წარმოდგენილი სახით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 სექტემბრის განკარგულება №35 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ბალდა-გაჭედის (სკურდი) წყალმომარაგების სისტემის ობიექტების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მარტვილის კეთილმოწყობის ცენტრი“-სთვის, მეთვალყურეობისა და მოვლა პატრონობის მიზნით, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქევს: რამაზ ხურცილავამ აღნიშნა, რომ მას შესწავლილი აქვს აღნიშნული საკითხი და მიესალმება მარტვილის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ბალდა-გაჭედის (სკურდი) წყალმომარაგების სისტემის ობიექტების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მარტვილის კეთილმოწყობის ცენტრი“-სთვის, მეთვალყურეობისა და მოვლა პატრონობის მიზნით, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ბალდა-გაჭედის (სკურდი) წყალმომარაგების სისტემის ობიექტების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მარტვილის კეთილმოწყობის ცენტრი“-სთვის, მეთვალყურეობისა და მოვლა პატრონობის მიზნით, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ბალდა-გაჭედის (სკურდი) წყალმომარაგების სისტემის ობიექტების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მარტვილის კეთილმოწყობის ცენტრი“-სთვის, მეთვალყურეობისა და მოვლა პატრონობის მიზნით, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 სექტემბრის განკარგულება N36 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 სექტემბრის განკარგულება N37 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 5 სხვადასხვა:

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება რომელიც ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის მისივე ბრძანების საფუძველზე ა/წ 2 სექტემბრიდან უფლებამოსილების შეჩერებასა და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების „ქართული ოცნება–კონსერვატორების“, „ქართული ოცნება–მრეწველების“, „ქართული ოცნება–მწვანეების“, და „პატრიოტთა ალიანსის“ გაუქმების შესახებ ცნობად მიღების თაობაზე. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის N ბ58.58212451 ბრძანება და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების გაუქმების შესახებ განკარგულების პროექტები.

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა/წ 2 სექტემბრიდან უფლებამოსილების შეჩერებასა და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების „ქართული ოცნება–კონსერვატორების“, „ქართული ოცნება–მრეწველების“, „ქართული ოცნება–მწვანეების“, და „პატრიოტთა ალიანსის“ გაუქმება.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 სექტემბრის N38, N39, N40 და N41 განკარგულებები სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია